საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 151/01
08/01/2021

151-01-2-202101080922

შპს „POLIMARR"-ს
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 96 1ა კორ. ბინა 50
ელ. ფოსტა: datomarr@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს N20705 განცხადებით წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია რომელიც ეხება ქ. თბილისში, შპს „POLIMARR"-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას და გაცნობებთ შემდეგს.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 26 ნოემბრის N11116/01 წერილით უკვე გეცნობათ, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში კვლავ არ არის მოცემული:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, ასევე უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან შეადგენს 40 მეტრს. ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოს შენობისა და საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრები ერთი და იგივეა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორია და საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი (ს/კ: 01.12.05.001.006) უახლოეს მოსახლემდე სხვადასხვა მანძილითაა დაშორებული. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს, სამინისტროს 2020 წლის 26 ნოემბრის N11116/01 წერილით თანახმად საჭირო იყო საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან უშუალო სიახლოვეს არსებულ მოსახლეობასთან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის (ასევე მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენა. წარმოდგენილი

დამატებითი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან საწარმოს ფუნქციონირების ეტაპზე მოსახლეობის მხრიდან რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ დაფიქსირებულა, შენიშვნები მოსახლეობის მხრიდან არ დაფიქსირებულა არც სკოპინგისა და გზშ-ის ეტაპებზე, მათ შორის საჯარო განხილვაზე, არ იქნა მიჩნეული უახლოეს მოსახლეებთან კომუნიკაციისა ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების შესაბამისად, სკოპინგის ეტაპზე არ ჩატარებულა საჯარო განხილვა, ხოლო გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა დისტანციურად, ZOOM-ის აპლიკაციის მეშვეობით, რომელსაც არ ესწრებოდა დაინტერესებული საზოგადოება, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა, ამასთან საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან (საკადასტრო საზღვრიდან შპს ,,POLIMARR"-ის მიმდებარედ) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 30 მეტრს, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ მოსახლე(ებ)სთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის სამინისტროში წარმოდგენა.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე